

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

გიორგი კვიციანიშვილს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

დავით სერგეენკოს

რეკომენდაცია

მოქალაქეობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო გიორგი,

ბატონო დავით,

2017 წლის 22 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს მომართა თ. ზ.-მ N 3257/17 განცხადებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ის ვერ სარგებლობს C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამით, ვინაიდან არ არის საქართველოს მოქალაქე.

1. ფაქტობრივი გარემოებები

თ. ზ. (შემდგომში განმცხადებელი) არის რუსეთის მოქალაქე და აქვს საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობა, რომელიც გაცემულია 2016 წლის 29 თებერვალს და ძალაშია 2021 წლის 28 თებერვლამდე. 1997 წლიდან განმცხადებელი იმყოფება ქორწინებაში საქართველოს მოქალაქე შ. ზ.-სთან. განმცხადებელს აქვს C ჰეპატიტი, ციროზი და ესაჭიროება C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა, თუმცა მან მიიღო უარი მკურნალობაზე, ასევე არ აქვს სპეციალური სამედიცინო სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა, ვინაიდან არ არის საქართველოს მოქალაქე და, შესაბამისად, არ აქვს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განმცხადებლისათვის 2017 წლის 27 იანვარს მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მთავრობის N169 დადგენილება „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ითვალისწინებს როგორც დიაგნოსტიკის, ასევე მკურნალობის კომპონენტებს. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სერვისები კი ხელმისაწვდომია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებისათვის.

2. სამართლებრივი შეფასება

თანასწორობის უფლება გარანტირებული როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.¹

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ*

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II,1

მოპყრობას არ აქვს **ობიექტური და გონივრული გამართლება** და იგი დასახული **მიზნის არათანაზომიერია**.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ **განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ**. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს **ობიექტური და გონივრული გამართლება**, ე.ი. არ ისახავს **კანონიერ მიზანს** და არ არსებობს **პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის**.²

2.1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

როგორც აღინიშნა, იმის გამოსარკვევად, აქვს თუ არა ადგილი დისკრიმინაციას, აუცილებელია სახეზე იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე უფლების შეზღუდვა.

ჯანმრთელობის დაცვა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. ეს უფლება მჭირო კავშირშია სხვა უფლებების ეფექტურ რეალიზებასთან და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის ღირსებისთვის შესაბამის ცხოვრებას.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი განამტკიცებს სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებას, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიის აღიარებას.

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (შემდგომში პაქტი) მე-12 მუხლით სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე. აღნიშნული მუხლით განსაზღვრული ჯანმრთელობის უფლებას, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (შემდგომში კომიტეტი) განმარტავს, როგორც ინკლუზიურ უფლებას, რომელიც მოიცავს არამხოლოდ დროულ და შესაბამის სამედიცინო

² ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60

მზრუნველობას, არამედ ასევე ხაზს უსვამს ჯანმრთელობისთვის გადამწყვეტ ფაქტორებს.³ პაქტის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფომ ჯანმრთელობის უფლების სრული რეალიზებისათვის უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურებასა და მზრუნველობას ადამიანის ავადმყოფობის შემთხვევაში.⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მოიცავს პირის უფლებას დაცული იყოს მისი ფიზიკური, მორალური და ფსიქოლოგიური ერთიანობა და ასევე, თავისუფალ არჩევანს, რომ უარი თქვას ან მოითხოვოს კონკრეტული სახის სამედიცინო დახმარება.⁵

ჯანმრთელობის უფლების რეალიზება გულისხმობს, რომ ყველას ჰქონდეს საშუალება, ხელი მიუწვდებოდეს ჯანდაცვის სერვისებზე,⁶ რაც, მათ შორის, ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას გულისხმობს.⁷ ეს უფლება თავის თავში მოიაზრებს ინდივიდის უფლებას, რომ მოხდეს მისი დაავადების პრევენცია, მკურნალობა და კონტროლი.⁸

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელს აქვს C ჰეპატიტი, ციროზი და საჭიროებს სპეციალურ მკურნალობას. C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამა მისთვის ხელმისაწვდომი არ არის, იმის გამო, რომ მას არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა და შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც პროგრამაში ჩართვის წინაპირობას წარმოადგენს. ამდენად, განმცხადებლის უფლება ჯანმრთელობაზე სათანადოდ არ არის რეალიზებული ხელმიუწვდომელი ჯანდაცვის პროგრამის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს განმცხადებლის ჯანმრთელობის უფლებაში ჩარევას.

³ Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 14 (2000), *The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights)*, E/C.12/2000/4, 11/08/2000, §11

⁴ Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 14 (2000), *The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights)*, E/C.12/2000/4, 11/08/2000, §12

⁵ ECtHR, *Tysiac v. Poland*, app. No.: 5410/03, 20/03/2007, §107

⁶ Office of High Commissioner for Human Rights (OHCHR), *Right to Health, Fact sheet no. 31*, გვ. 5, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf>

⁷ Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 14 (2000), *The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights)*, E/C.12/2000/4, 11/08/2000, §12

⁸ OHCHR, *Right to Health, Fact sheet no. 31*, გვ. 3

2.1. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე ნიშნის საფუძველზე

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები.⁹ საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე.¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირები არსებითად თანასწორები უნდა იყვნენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში და ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით, მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში.¹¹

განსახილველ შემთხვევაში, „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამაში“ ჩართვისათვის აუცილებელია ელექტრონულად რეგისტრაციის გავლა, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საშუალებით. ამრიგად, პროგრამით სარგებლობს საქართველოს ყველა ის მოქალაქე, ვისაც C ჰეპატიტის მკურნალობა ესაჭიროება.

განმცხადებელი არ არის საქართველოს მოქალაქე და შესაბამისად, მიუხედავად მისი ჯანმრთელობიდან გამომდინარე საჭიროებისა, მისი ჩართვა C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში არ ხდება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს ბინადრობის ნებართვის მქონე პირთა მიერ სოციალური პროგრამებით სარგებლობაზე უარის ლეგიტიმურობა რამდენჯერმე ექვევმ დააყენა და დაადგინა თანასწორობის უფლების დარღვევა.¹² საქმეში *გეიგუსუზი ავსტრიის წინააღმდეგ (Gaygusuz v .Austria)*, თურქეთის მოქალაქეს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა ავსტრიაში, უარი ეთქვა გადაუდებელი ფულადი დახმარების გაცემაზე იმ მიზეზით, რომ მსგავსი დახმარება მხოლოდ ავსტრიის მოქალაქეებისთვის იყო განსაზღვრული. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სოციალური შემწეობის მიღების უფლება მჭიდროდ უკავშირდებოდა პირის მიერ უმუშევრობის სარეზერვო ფონდში შეტანილ წვლილს, აღნიშნულ მოთხოვნას კი განმცხადებელი

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, II,19

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება #2/1/473, II, 1

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება, II,2

¹² ECtHR, *Koua Poirrez v France*, App. No. 40892/98, 30/09/2003, §§41,49

აკმაყოფილებდა და მისი სოციალური შემწეობის მიღების უფლება წარმოადგენდა ქონებრივ უფლებას, რომელიც ხვდებოდა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების უფლება) ქვეშ. სოციალური ბენეფიტებით სარგებლობისას განსხვავებულ მიდგომაზე საუბრისას ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბინადრობის ნებართვის მქონე პირი მოქალაქეთა თანასწორად იხდის კანონით დადგენილ გადასახადებს და თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოების კეთილდღეობაში.¹³

მსგავსი მიდგომა აქვს განვითარებული ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოსაც. ერთ-ერთ საქმეში, მომჩივანი, რომელიც 15 წელზე ნაკლები დროის განმავლობაში ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვერ სარგებლობდა სოციალური ბენეფიტებით, ვინაიდან არიზონის შტატის რეგულაციის თანახმად, სოციალური სარგებლის მიღების წინაპირობა აშშ-ის მოქალაქეობა ან აშშ-ს მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ 15 წლიანი ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა იყო. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოქალაქეობაზე დაფუძნებულ განსხვავება კრიტიკულ შესწავლას საჭიროებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ინტერესი, რომ შეინახოს და მწირი სოციალური ბენეფიტები საკუთარ მოქალაქეებზე გადაანაწილოს არ არის უდავო არგუმენტი და საკმარისი მოქალაქეობაზე დაფუძნებული განსხვავებისათვის.¹⁴ სასამართლომ აღნიშნა, რომ განსხვავებული მოპყრობა უცხოელების მიმართ დაუსაბუთებელი და გაუმართლებელია, მაშინ როდესაც ბინადრობის ნებართვის მქონე პირები მოქალაქეთა მსგავსად, იხდიან გადასახადებს და ქვეყანაში მოკლე ვადით მყოფი ვიზიტორებისაგან განსხვავებით, მათ შეიძლება მრავალი წელი იცხოვრონ ქვეყანაში, იმუშაონ და ხელი შეუწყონ სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდას.¹⁵

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელი არის საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირი, რომელიც ისევე უნდა სარგებლობდეს სოციალური დახმარებით, როგორც საქართველოს მოქალაქე. აღნიშნული ჩანაწერი გვხვდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლში, რომლის თანახმად, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელს აქვს დახმარების, პენსიისა და სხვაგვარი სოციალური უზრუნველყოფის ისეთივე უფლება, როგორც საქართველოს მოქალაქეს.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე განმცხადებელი და საქართველოს მოქალაქეები არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირები არიან, თუმცა, განმცხადებელი არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით, რომლებიც სარგებლობენ C ჰეპატიტით

¹³ ECtHR, *Gaygusuz v. Austria*, App. no. 17371/90, 16/09/1996, §42.

¹⁴ US Supreme Court, *Graham v Department of Pub. Welfare*, 403 U.S. 365 (1971), II, 334 U.S. at 334 U.S. 420

¹⁵ US Supreme Court, *Graham v Department of Pub. Welfare*, 403 U.S. 365 (1971), II

დაავადებულ პირთათვის განკუთვნილი პროგრამით. მაშასადამე, განსხვავება ხდება მოქალაქეობის საფუძველზე

2.1. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის თანახმად, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს **კანონით განსაზღვრული მიზანი**, აქვს **ობიექტური და გონივრული გამართლება** და გამოყენებული საშუალება დასახული **მიზნის თანაზომიერია**. ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელია.¹⁶ უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, მას გარდაუვლად, რეალურად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების და ინტერესების უზრუნველყოფა.¹⁷

„C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N169 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, პროგრამის მიზანია საქართველოში C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება დაავადების პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ეტაპობრივი უზრუნველყოფის გზით. ამავე დადგენილების მე-2 მუხლის მიხედვით, პროგრამით მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირები.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მითითებით, პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მედიკამენტის უსაფრთხოება, კერძოდ, დათმობის/რეალიზაციის/გაყიდვის/საზღვრებს გარეთ გატანის თავიდან აცილება, შესაბამისად, საწყის ეტაპზე პროგრამა ხორციელდება გარკვეული კრიტერიუმებისა და შეზღუდვების ფარგლებში და პირველ ფაზაში გათვალისწინებულია მხოლოდ ღვიძლის დაზიანების მაღალი ხარისხით პაციენტთა მკურნალობაში ჩართვა. ამდენად, სამინისტროს განმარტებით, **საქართველოს მოქალაქეობით პროგრამის ფარგლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს მედიკამენტების უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს**. აღნიშნული გამოიკვეთა სახალხო დამცველის მიერ ერთ-ერთი საქმის შესწავლის დროს,

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება N3/1/531, II, 15

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,571,576, II, 23

რომელიც შეეხებოდა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე მსჯავვრდებულის C ჰეპატიტის პროგრამაში ჩასმას.¹⁸

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განმცხადებელს აქვს C ჰეპატიტი, ციროზი და საჭიროებს მედიკამენტებით მკურნალობას, რაც სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის გარეშე, დიდ ფინანსურ ხარჯებს უკავშირდება.

მართალია, ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან დაკავშირებული გარკვეული ასპექტები მიეკუთვნება პროგრესულად რეალიზებად კატეგორიას, თუმცა სახელმწიფოს აქვს ისეთი მნიშვნელოვანი ვალდებულებები, მათ შორის, მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომელიც წარმოადგენს დაუყოვნებლივ შესასრულებელ ვალდებულებებს, რაც დისკრიმინაციის გარეშე უნდა განხორციელდეს.¹⁹

ქრონიკული ჰეპატიტი არის არა ერთი კონკრეტული დაავადება, არამედ კომპლექსური კლინიკო-პათოლოგიური სინდრომი სხვადასხვა გამომწვევი მიზეზებით.²⁰ იმ პაციენტებში, რომელთაც უკვე განვითარებული აქვთ ციროზი, მაღალია კიბოს ჩამოყალიბების რისკი, ამასთან ციროზული შემთხვევების 20-25% შეიძლება სიკვდილით დასრულდეს.²¹ ყოველწლიურად, დაახლოებით, 500 000 ადამიანი იღუპება C ჰეპატიტიდან გამომდინარე ღვიძლის დაავადებებით, თუმცა ანტივირუსულ მედიკამენტებს შეუძლიათ HCV ინფექციის მქონე პირთა 90%-ის მკურნალობა და, შესაბამისად, შეამცირონ ღვიძლის კიბოსგან ან ციროზისგან გარდაცვალების რისკი.²²

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლება უმნიშვნელოვანეს ღირებულებას წარმოადგენს და მისი დაცვის გარეშე აზრი ეკარგება სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვას. **ადეკვატური მკურნალობის არარსებობის პირობებში, განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაძლოა დამძიმდეს და ფატალურ შედეგამდეც კი მივიდეს.**

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი

¹⁸ სახალხო დამცველის 2016 წლის 24 თებერვლის რეკომენდაცია მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, გვ. 12, ხელმისაწვდომი ვებ-გვერდზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3381.pdf>

¹⁹ Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 14 (2000), *The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights)*, E/C.12/2000/4, 11/08/2000, §43(d)

²⁰ World Health Organization, C Hepatitis, გვ. 18, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.who.int/csr/disease/hepatitis/Hepc.pdf>

²¹ World Health Organization, C Hepatitis, გვ. 18-19

²² World Health Organization, Fact Sheet, Key Facts, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs164/en/>

მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორც საქართველოს მოქალაქეს.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად კი, საქართველოს მოქალაქესა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვთ, ისარგებლონ დადგენილი წესით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარებით. ამავე კანონის მე-6 მუხლი კი კრძალავს პაციენტის დისკრიმინაციას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ მოქალაქეობაზე დაფუძნებული განსხვავებული მოპყრობის გამართლება მხოლოდ ძალიან სერიოზული მიზეზებით არის შესაძლებელი.²³ შესაბამისად, განსხვავება, რომელიც ემყარება მხოლოდ მოქალაქეობას, საჭიროებს უფრო წონად არგუმენტს ვიდრე ეს არის სამინისტროს მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი - მედიკამენტის უსაფრთხოების დაცვისა და მისი დათმობის/რეალიზაციის/გაყიდვის/საზღვრებს გარეთ გატანის თავიდან აცილება. ამასთან, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე დაწესებული შეზღუდვა, ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგი საშუალება არ არის, ვინაიდან მედიკამენტების დათმობის/რეალიზაციის/გაყიდვის/საზღვრებს გარეთ გატანის რისკს არ გამორიცხავს საქართველოს მოქალაქეების მიერ პროგრამით სარგებლობა.

სახალხო დამცველი ასევე, ხაზს უსვამს იმ პრობლემას, რომ **ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისათვის სახელმწიფოში თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის სხვადასხვა სოციალური თუ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები.** შესაბამისად, აღნიშნული პირები სირთულეებს აწყდებიან იმ ქვეყანაში ცხოვრებისას, რომლის ბიუჯეტშიც მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეაქვთ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს გააჩნია ფართო მიხედულების ფარგლები ქვეყნის სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკური სტაბილურობისათვის ფისკალური პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრისას, ფარგლები ვიწროვდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მიდგომა გაუმართლებლად ახდენს არსებითად თანასწორ ჯგუფებს შორის დიფერენცირებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ **ბინადრობის ნებართვის მქონე პირებსა და საქართველოს მოქალაქეებს მსგავსი საგადასახადო ვალდებულებები აქვთ სახელმწიფოს წინაშე და შესაბამისად, ბიუჯეტიდან დაფინანსებული სახელმწიფო პროგრამა თანასწორად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ამ პირებისათვის.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოში მცხოვრები უცხოელები მჭიდროდ არიან დაკავშირებულები სახელმწიფოსთან, ისინი წარმოადგენენ ქართული საზოგადოების წევრებს და საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში, მის წინსვლასა და განვითარებაში. უცხოელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ინტენსიურად ექცევიან საქართველოს

²³ Fawsie v. Greece, App. No.: 40080/07, 28.10.2010, § 35; Gaygusuz v. Austria, App. No.:17371/90, 16/09/1996, § 42;

სამართლებრივი რეგულირების სფეროში და ნორმატიული წესრიგის ფორმირება, როგორც წესი, საქართველოს მოქალაქის თანაბრად ახდენს გავლენას მათ საქმიანობაზე, არსებობასა და განვითარებაზე. დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მოითხოვს მისი თითოეული წევრის უფლების პატივისცემას და საზოგადოების წევრებისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.²⁴

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ **სახელმწიფო გაუმართლებლად ახდენს ბინადრობის ნებართვის მქონე პირების გამორიცხვას სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებიდან**, რაც ამ ჯგუფს არ აძლევს საშუალებას, რომ იყვნენ ქართული საზოგადოების სრულყოფილი წევრები და ისარგებლონ ყველა იმ სერვისით, რაც მათთვის ისევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც ეს არის საქართველოს მოქალაქეებისათვის. აღსანიშნავია, რომ ადეკვატური სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პირის კეთილდღეობას და ამალღებს ინდივიდის საზოგადოებაში სრულფასოვანი მონაწილეობის ხარისხს. აქედან გამომდინარე, როგორც ძირითადი და ბაზისური ჯანდაცვის/სოციალური პროგრამები, ასევე გარკვეული რთული კატეგორიის დაავადებათა კონტროლის მიზნით შემუშავებული სახელმწიფო პროგრამები ხელმისაწვდომი იყოს იმ პირთა ჯგუფისთვის, რომელთაც ქვეყნის ბიუჯეტის ზრდაში წვლილი შეაქვს და სამართლებრივად საქართველოს მოქალაქეთა მსგავს მდგომარეობაში იმყოფება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირის თ. ზ.-ს მიმართ ადგილი აქვს პირდაპირ დისკრიმინაციას მოქალაქეობის ნიშნით, ვინაიდან ის ვერ სარგებლობს მისი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამით, რადგან ის არ არის საქართველოს მოქალაქე.

„საქართველოს სახალხო დამცველი შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს თ. ზ.-ს მიერ C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა;
- საქართველოს მთავრობას, რომ მოხდეს „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ სახელმწიფო პროგრამის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N169 დადგენილებაში ცვლილების შეტანა იმგვარად, რომ აღნიშნული პროგრამა, საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირების მსგავსად, ხელმისაწვდომი იყოს საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე პირებისათვის;

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება 3/1/512, II, 94

- საქართველოს მთავრობას, რომ არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები ხელმისაწვდომი გახადოს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისათვის საქართველოს მოქალაქეთა თანასწორად და მომავალში, სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში იხელმძღვანელოს თანასწორობის პრინციპის დაცვით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად.

პატივისცემით,